# ქართული აზრი

> „ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.
>
> **აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

№ 89 | ნიუ იორკი, ნოემბერი 1971 წ. | GEORGIAN OPINION | NEW YORK, NOVEMBER 1971


### ნიუ იორკი, ნოემბერი 1971 წ.

პირველი მსოფლიო ომის საზავო კონფერენციის ხარვეზებში ჩაისახა მეორე მსოფლიო ომის აუცილებლობა, რომელიც ძვირად დაუჯდა კაცობრიობას.

მეორე მსოფლიო ომის ხარვეზები კი იმდენად ღრმა აღმოჩნდა, რომ, მართალია ევროპაში ზარბაზნების გრიალი შეწყდა, მაგრამ კაცობრიობის სხვა და სხვა კუთხეში ომი, ან საომარი მდგომარეობა, არ შეწყვეტილა.

მსოფლიო პოლიტიკაში გაუწრთვნელმა შ. შტატების იმ დროინდელმა მეთაურებმა ვერ გამოიჩინეს მოვლენების რეალური შეფასების უნარი. მთელ ამ უზარმაზარ ქვეყანაში, მხოლოდ სენატორი რობერტ ტაფტი აფრთხილებდა თავის პრეზიდენტს, რომ კომუნიზმი ძალიან „მიმზიდველი“ ავადმყოფობაა და ამავე დროს „გადამდებიც“, ვიდრე ფაშიზმი და მას უნდა უფრთხილდეთო. მაგრამ რუზველტის ნებისყოფამ დასძლია, არამც თუ ტაფტის გაფრთხილება, არამედ ჩერჩილსა და დე გოლსაც და მეორე მსოფლიო ომიდან რუსეთი გამოიყვანა უძლიერეს იმპერიად. ამას ზედ დაერთო დასავლეთის პოლიტიკურ-დიპლომატიური მარცხი: მათ მიიღეს სტალინის მიერ წინასწარ მოზომილი და რუსეთის შემდეგი ექსპანსიისათვის გამიზნული ერების და სახელმწიფოების (გერმანია, კორეა, ვიეტნამი) დაყოფის პრინციპი.

თანამედროვე საზოგადოებისათვის ეს აღმაშფოთებელი პრინციპი შეიქმნა კაცობრიობის აღრევის და ქვეყნიერების სხვა და სხვა კუთხეში ომიანობის მიზეზი და მას ეწირება შეერთებული შტატების ახალთაობა.

დასავლეთის მიერ ჩადენილი დიპლომატიურ-ფსიქოლოგიური ხასიათის შეცდომები, განუწყვეტელ ზოლათა სდევს ომის და მის შემდგომ პერიოდს.

თითქოს ერებს და სახელმწიფოებს შორის წარმოშობილ კონფლიქტების „უზარბაზნოთ და უსისხლოდ“ მოსაგვარებლად წარმოიშვა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. იმპერიალისტური რუსეთის წევრობა თავიდანვე სპობდა დასახული მიზნის განხორციელების შესაძლებლობას. გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში რუსეთმა ერთის მაგიერ სამი ხმა მიიღო: თითქოს საბჭოთა კავშირი ცალ-ცალკე რესპუბლიკების ნება-ყოფლობითი გაერთიანებაა და ამიტომ სხვებსაც უნდა ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი. არავინ აღმოჩნდა ეთქვა: ან რუსეთი ერთია და მას ერთი ხმა უნდა ჰქონდეს, ან საბჭოთა „კონსტიტუციაში“ ფორმალურად აღიარებულ ყველა რესპუბლიკას უნდა მიეცეს თანაბარი უფლება იყოს საერთაშორისო ორგანიზაციის წევრიო.

სულ ორიოდე კვირის წინ, გაერთიანებული ერების ყრილობაზე შეერთებული შტატების ორი ჩინეთის პრინციპს დაუპირდაპირდა ალბანეთის ნაციონალისტური ჩინეთის განდევნა და მაოს ჩინეთის მოწვევა. ალბანეთის წინადადებას მხარი დაუჭირა აფრო-აზიის ეროვნულად შეუცნობელი სახელმწიფოების და „ჰანიბალებთანაც შეიძლება ვაჭრობის“ პრინციპის მაღიარებელთა წარმომადგენლებმა. განდევნეს ორგანიზაციის დამაარსებელთა შორის პირველთაგანი, ნაციონალისტური ჩინეთი და მაოს ჩინეთის მობრძანებას ფიანდაზად გაეფინა უ ტანტი.

ეჭვი არ არის, ნაციონალისტური ჩინეთის განდევნით, შეერთებულმა შტატებმა დაკარგა უერთგულესი მოკავშირე და მეგობარი, ხოლო მაოს ჩინეთის მოსვლით გაიჩინა კბილის ერთი ზედმეტი მატლი.

მაგრამ საკითხავია თუ რას იგებს ამით რუსეთი? დღეს ხომ საეჭვო აღარ არის, რომ ჩინურ-რუსული „კონფლიქტი“, არ არის არც მარქსიზმის „გადახვევ-გადმოხვევების“, არც იდეოლოგიური საკითხი და აქ საქმე გვაქვს სუფთა ეროვნულ მომენტთან. მტაცებლობით შექმნილ რუსულ იმპერიას დაუპირისპირდა აზიური მრისხანების ჩინეთის იმპერიალიზმი.

ჯერ-ჯერობით ჩინეთი, რუსეთის მიმართ სამართლიან მოთხოვნილებებს აყენებს და არ შეიძლება კაცობრიობის სიმპატია მის მხარეზე არ იყოს. ჩინეთი მოითხოვს რუსეთისაგან მიტაცებულ ტერიტორიას, რუსეთმა კი ხრუშჩოვის პირით, ლაზღანდარულად უპასუხა: რაც გეოგრაფიულ რუკაზე შემოხაზულია, როგორც რუსეთი, ის რუსეთია და ხელშეუხებელიო.

მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა, ამ ხანში მათ შორის სისხლიც დაიღვარა და ზარბაზნებიც აგრიალდნენ. გასული წლის იანვარში, მაოს ჩინეთმა ხმა მაღლა დაიძახა: ჩინეთის უზარმაზარი არმია მზად არის ყოველგვარ მოულოდნელობას შეხვდეს მომზადებული და თავი დაიცვასო. მოსკოვის პროპაგანდა კი ამტკიცებს, რომ ჩინეთი ხელოვნურად ქმნის ომის ფსიქოლოგიას, რადგან თავდასხმისათვის ემზადებაო. რუსეთი მაინც შეეცადა ორ ვეშაპს შორის დაძაბულობა შეენელებინა და მოსალაპარაკებლად პეკინში კუზნეცოვი გაგზავნა.

რუსული პიზიცია იყო: ჯერ პოლიტიკური ატმოსფეროს გაწმენდა და შემდეგ სხვა საკითხების მოგვარება. პეკინი კი მოითხოვდა: ჯერ საზღვრების საკითხის გადაწყვეტა და პოლიტიკური ატმოსფერო თავისთავად განიწმინდებაო.

ცხადია, რუსეთს რომ მართლა მშვიდობიანობა და დაზავება სდომებოდა, საკითხი სწორედ ასე უნდა დაეყენებინა. მაგრამ კუზნეცოვი მოსკოვმა საპროპაგანდოთ წარგზავნა და მოლაპარაკებასაც პროპაგანდული დანიშნულება მისცა. მაოს ჩინეთი კი რეალურად მიუდგა საკითხს და წინასწარ ფატალურად განწირული მოლაპარაკება ჩაიშალა.

ჩინეთი მტკიცედ მოითხოვს მეფის რუსეთის მიერ ჩადენილ უსამართლობის გამოსწორებას და იმ დროს დადებულ ხელშეკრულების გადასინჯვას.

პოზიცია ნათელია. ძველი ხელშეკრულების გადასინჯვით, ჩინეთი უნდა შეეხოს ერთნახევარ მილ. კვადრატიულ კილომეტრ ტერიტორიის საკითხს. თუმცა კუზნეცოვთან ჩინეთმა ტერიტორიის საკითხი ახლილად კი არ დააყენა, არამედ მოითხოვა მხოლოდ ძველი ხელშეკრულების გადასინჯვა და ახალი პირობების დამუშავება, რომელიც შესცვლის, თითქმის, ერთი საუკუნის წინ მეფის რუსეთის მიერ ჩადენილ უსამართლობას და ახალი საფუძვლად დაედება ორ „კომუნისტურ“ ქვეყნებს შორის ურთიერთობას.

მოსკოვმა კატეგორიულად უარყო ჩინეთის წინადადება. უარყო, რადგან იცის, რომ თუ ერთი პრეცედენტი შეიქმნა, ჩინეთი ახალ-ახალ მოთხოვნილებებს წამოაყენებს და ბოლოს რუსეთს ხელიდან გამოეცლება მთელი ერთ დროს ჩინეთის კუთვნილი ტერიტორია. ასე შეურიგებლად არის დაპირდაპირებული მოსკოვ-პეკინის პოზიციები.

დღევანდელი ჩინეთი მაგრად ეჭიდება იმ შეპირებებს, რომელსაც, პირველი მსოფლიო ომის და სამოქალაქო ომით დაძაბუნებული, ჯერ კიდევ მსოფლიო რევოლუციის ბურანში მყოფი რუსეთი უხვად ურიგებდა თამასუქებს თავის სავარაუდო მოკავშირეებს.

1919 წ. ივლისში, საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილის, კარახანის პირით მოსკოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთი მზად არის გააუქმოს მეფის რუსეთის მიერ ჩინეთთან დადებული უსამართლო და უთანასწორო პრინციპზე დაშენებული ხელშეკრულებაო. მაოს აზრით ეს შეპირება რუსეთმა ეხლა უნდა გაანაღდოს. მით უმეტეს, რომ დღეს ჩინეთი, რუსეთივით, კომუნისტური ქვეყანაა.

მაგრამ მაოს მაინც ავიწყდება, რომ 1919 წლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. უპირველეს ყოვლისა, მოსკოვმა უკუ აგდო მსოფლიო რეოლუციის ქიმერა და „ერთ სახელმწიფოში სოციალიზმის დამყარების“ პრინციპი აღიარა, მაშასადამე, პირვანდელი ზრახვებისათვის სავარაუდო მოკავშირეები არც თუ იმდენად სჭირდება, „სატელიტად“ კი ჩინეთი არ გამოადგება! ამას მოჰყვა მეორე მსოფლიო ომის შედეგად გაძლიერებული რუსული იმპერია და აგრესიულად განწყობილი წითელი არმია. უახლოეს წარსულში კი “ბრეჟნევის დოქტრინა“, რაც შეიცავს სხვა კომუნისტური ქვეყნების „შეზღუდულ სუვერენიტეტს“. მაოს ჩინეთი რუსეთს არც ამ მხრივ გამოადგება და მოსკოვის მიერ სუვერენიტეტის შეზღუდვას, ის არასოდეს არ მიიღებს.

ამ მოვლენებმა კარახანის ძველ განცხადებას სრულიად დაუკარგა აზრი და მნიშვნელობა. დღეს საბჭოთა კავშირი ძლიერი იმპერიის ხაზზეა გადასული, რომელიც დასავლეთის დემოკრატიულმა ქვეყნებმა გასულ საუკუნეში განვლეს. მოსკოვი ჯერ კიდევ შეიარაღებული ძალის გამოუყენებლად მოქმედობს და ჩინეთის ნერვებზე თამაშით ფიქრობს პეკინი დათმობაზე წაიყვანოს. ვინც „აზიურ“ ნერვებს იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ნერვებზე თამაშით ჩინეთის დათმობაზე წაყვანა წინასწარ განწირული საქმეა. პირიქით: ნერვებზე თამაშს, მაოს ჩინეთმა პრაქტიკულად უპასუხა. გაზარდა და გააძლიერა თავისი სამხედრო ძალა და მისი უკეთ შეიარაღებაც მოახერხა; საჰაერო და ატომური თავდასხმის შემთხვევისათვის თავშესაფარებს ამრავლებს და ომის შემთხვევისათვის დიდი თადარიგია დაცული. ამითვე უნდა ავხსნათ მაოს შეერთებული შტატებისაკენ პირის მობრუნება, რაც მოსკოვს აშფოთებს და ძილს უფრთხობს.

რუსეთ-ჩინეთის საზღვარზე ორივე მხრიდან თავმოყრილი ჯარი და მომარაგებული იარაღი, კარგს არას უქადდის ამ ქვეყნებს. მართალია დღეს რუსეთს უპირატესობა აქვს ჩინეთზე ატომური მარაგით, მაგრამ ფანატიკოსი ჩინელი, სჩანს, არც ამას ეპუება.

ჩვენის აზრით, მოვლენების აქკვარდა გათვალისწინებამ მიიყვანა ვაშინგტონი ჩინეთის საკითხში პოზიცია შეეცვალა. მართალია, ამით მან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ზედმეტი კბილის მატლი გაიჩინა და, ეჭვი არ არის, ხან გამოშვებით, ჩინეთ-რუსული „კოალიცია“ დაღრღნის ამერიკულ პოზიციას, მაგრამ საბოლოო ჯამში მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

მტაცებელი რუსული იმპერია არ დასთმობს ჩინეთის კუთვნილ ტერიტორიას. მათ შორის საზღვრების საკითხი უზარბაზნოდ არ გადაწყდება. ჩინეთის დამარცხების შემთხვევაში, რუსეთი რჩება მთელი აზიის ბატონ-პატრონი და ჰეგემონი. ეს იქნება კაცობრიობის ძალთა წონასწორობის საბედისწერო დარღვევა.

ვაშინგტონის ამ ახალი პოლიტიკური ხაზით, ორ (რუსულ-ჩინურ) ჰეგემონურ მისწრაფების ქვეყნებს დაემატება მესამე, თვინიერი შეერთებული შტატები, რომლის მოვალეობა იქნება ორთაშორის წონასწორობის დაცვა და ორიდან ერთის მოთვინიერებით მესამის ჩაჩუმება.

ახლო მომავალი დაგვანახვებს, რამდენად სასურველ ნაყოფს გამოიღებს „სამ პარტიული“ კოალიცია.

## ქართული აზრი

ქართულ აზრს თან მოსდევს მრავალ საუკუნოვანი საკუთარი ღრმა კვალი.

იგი გამომდინარეობს ქართველთა მოდგმის ზნე-ჩვეულების, ხასიათის, კულტურის და შემოქმედების განსაკუთრებულ თვისებებიდან, რომლითაც იგი განირჩევა სხვა ხალხთა მოდგმისაგან.

ქართული აზრის სულის ჩამდგმელი და მამოძრავებელი იყო და არის, ქართველი ადამიანის ბუნების მთავარი თვისება — ჰუმანურობა (კაცთმოყვარეობა) და ეროვნულ საზოგადოებრივი იდეალებისადმი მ უ დ მ ი ვ ი ლტოლვა.

ამით უნდა აიხსნას, რომ ქართველ ადამიანთა ბუნებას, საერთოდ, არ ეკარებოდა მხეცური სიძულვილის გრძნობები და ფანატიკური სულისკვეთებები, რომლის წყალობით თავის შინა ცხოვრების გრძელ ისტორიულ მანძილზე მას არ განუცდია არც სარწმუნოებრივი, არც სოციალური ომები და რევოლუციები.

1600 წლის წინად ქრისტეს მცნების მაღალ იდეალებმა („გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“) ასე ადვილად დაიპყრეს ქართველი ხალხის გული და ქრისტიანული მოძღვრება საქართველოში შემოვიდა სრულიად მშვიდობიანად და ნაზი ქალის ქადაგებით. ასევე მშვიდობიანად მთელ ქართველობის სარწმუნოებად გადაიქცა. მას არ მოჰყოლია, არც დასაწყისში, არც მომდევნო ხანაში, ის საშინელი სარწმუნოებრივი დევნაომები, ადამიანთა ზღვა სისხლში ამოვლებული, რომლითაც ასე მდიდარია დასავლეთ ქვეყნების ქრისტიანეთა ისტორია.

ჩვენ დრომდე შემონახული ქართველი ხალხის თქმულებები მოწმობენ მის კაცთმოყვარეობის გრძნობებს. რას მოითხოვენ ქართველისაგან ამ თქმულების დედა აზრი? ადამიანის ღირსეულ შეფასებას:

„ადამიანი ადამიანისათვის წამალია“, (შეადარეთ ლათინურს — „ადამიანი ადამიანისათვის მგელიაო“), „სისხლი სისხლით არ მოიბანებაო“, „ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა, თუ კაცი თვითონ არ ვარგა ცუდია გვარიშვილობა“; „დავრდომილს წიხლი კი არა, შველა უნდაო“, „ძმაო რა სჯობდა ძმობასა, ერთმანეთისა ყმობასა“ — შემოსძახის ქართველი კაცი თავის ძველ სუფრულში და სხვა.

ამ მაღალ ღირებულობის ადამიანურ აზროვნებაზე დაშენდა სამი ათასი წლის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი კ უ ლ ტ უ რ ა ქართველ ხალხისა.

ამ ნიადაგზე იშვა მეთორმეტე საუკუნის „ოქროს ხანა“ საქართველოს სახელმწიფოსი და ამ ხანის მეხოტბე ქართველი გენიოსი შოთა რუსთაველი, რომელმაც ბრწყინვალე პოეტური სახელით შემოსა ნაკადნი ქართულ აზროვნების სულისა, მისი იდეალებისა და დაუტოვა ქართველ ერს და კაცობრიობას კეთილშობილ ადამიანთა რჯულის უკვდავი სამოქალაქო სახარება.

მასვე დაეყრდნო ქართველთა მოდგმის სოციალურ ფენათა მშვიდობიანი ურთიერთობა „პატრონ-ყმობა“-დ წოდებული. ფრანგ მეცნიერ კასტრის აზრით, იშვიათი ჰუმანურობით გამოსახული.

უკვე ძველთა ძველი დროიდან საქართველოს არა ერთი მპყრობელი, არა ერთხელ ცდილა ამ კეთილშობილ ქართულ აზროვნების სულის აღმოფხვრას, განიავებას, შერყვნას, მაგრამ ვერას გამხდარა. მას ვერ მოერია ვერც ცეცხლი სპარსულ მაზდეიანიზმისა, ვერცურიცხვ მაჰმადიანთა მრისხანე მახვილი, ვერც რუსეთის თვითმპყრობელთა შოვინისტური ძალადობა და თუ ქართველმა ერმა არარაობის უფსკრულში, ეს შედეგია ქართველთა მოდგმაში დამკვიდრებულ ამ საკუთარ ძირ-მაგარ მაღალ ზნეობრივ აზროვნობისა.

საქართველოს და ქართველი ხალხის ისტორიის შესწავლამ დაარწმუნა ბოლშევიკ რუსი პროფესორი კ. ბიზილ[illegible], რომ ამ მაღალმა ღირსებამ შეაქმნევინა ქართველ ერს, „ერთი უძველესთაგანი კულტურა ევროპაშიო“ და ევროპიელ მეცნიერ არტურ ბირის დასკვნით „კავკასიურ ცივილიზაციათ“ წოდებული.

ქართული აზრის გამძლეობის ერთი მთავარი მიზეზთაგანი გამოიხატება, რომ მის შემოქმედებას არა სჩვევია ბრმა მიბაძვა უცხო მოძღვრებებისა, ან მის თავზე ძალით მოხვეულ უცხოთა ნააზრევ-ნამოქმედარში გათქვეფა. იგი მუდამ თავის მაგარ ფარს, — „მშობლიურ ისტორიას, ცხოვრებას და ქართველობას ეჭიდებოდა“ (გ. წერეთელი) — მით იბრძოდა და ბოლოს ისევ საკუთარი გზა გაჰქონდა.

ჩვენს ჟამთა მსვლელობის ვითარებაში, ომებით და რევოლუციებით აშლილ კაცობრიობის, ამ სისხლის წვიმების ხანაში, როდესაც წამებულ საქართველოს კვლავ დაემუქრა ყოფნა არ ყოფნის მრისხანე ბედი, ყველა ქართველ მამულიშვილს ევალება მაგრად ჩაეჭიდოს თავის ქართველობას, მტკიცედ დაიცვას ქართული აზრის „მეობა“ და ამას ამოფარებული თავდადებით იბრძოლოს ყველგან და ყოველთვის ქართული მოდგმის, მის ძვირფას მემკვიდრეობის, საკუთარ, თავისუფალ ეროვნულ ცხოვრების აღდგენისათვის.

† დ. ვაჩნაძე

მიუნხენი, 1949 წ.

⁂

## ქართულ სათვისტომოში

ნოემბრის 14-ს შესდგა ქართული სათვისტომოს წლიური საანგარიშო კრება.

მოსმენილ იქმნა საზოგადოების თავმჯდომარის, ხაზინადარის და სარევიზიო კომისიის მოხსენებები. საზოგადოებამ ულრმესი მადლობა გადაუხადა გამგეობას გაწეული შრომისათვის და გადავიდა ახალ არჩევნებზე.

მომავალი ორი წლით არჩეულ იქმნენ:

საზოგადოების თავმჯდომარედ: ქ-ნი ელ. ცომაია, გამგეობის წევრებათ: ქ-ნები ა. ერისთავის ასული, ნ. ვაჩნაძეს ასული კოვალსკისა, ტერეზა გოლდმანი, ბ-ნები: ს. გაბუნია, მ. რეხვი, ნ. თოფურია. სარევიზიო კომისიაში: ბბ. ვ. ძამია, ა. კეკელია, გ. ფორაქიშვილი, ი. მამაცაშვილი.

უსურვებთ ნაყოფიერ მუშაობას.

## საბჭოთა საქართველოში გამოცემულ ზოგიერთ წიგნთა გამო

(გაგრძელება. იხ. „ქ. აზრი“ № 88)

შულენბურგის გეგმა, რიბენტროპმა, ჰიტლერს პირადათ წარუდგინა ობერზალცბერგში. წაკითხვის შემდეგ ჰიტლერმა, თურმე, ეს გადააგდო, გულმოსულად წმოიყვირა: ასეთი რამ მე არ მაინტერესებსო და რიბენტროპს უბრძანა: საგარეო საქმეთა სამინისტრო აღმოსავლეთ ტერიტორიების საკითხში არ ჩარეულიყო.

შეწუხებულმა შულენბურგმა დაიბარა მიხეილ კედია და გულახდილად გადასცა ეს ამბავი.

პარიზიდან ბერლინში ჩამოსულ მიხეილ კედიას მანდატი და დავალება ჰქონდა საქართველოს ყოფილ მთავრობისაგან ქართული ინტერესებისათვის ემოქმედნა გერმანიაში. მან შულენბურგის ნაამბობი, დაუყონებლივ, წერილობით მოახსენა ნოე ჟორდანიას და ევ. გეგეჭკორს, თანაც მისთვის ჩვეული სიფიცხით ამატებდა: ამის შემდეგ გერმანიაში ჩემს დარჩენას აზრი აღარა აქვს და საფრანგეთში ვბრუნდებიო.

პასუხი ორივესაგან მიიღო. მოგვყავს ზოგი ნაწყვეტი.

ევ. გეგეჭკორის წერილი, დაწერილი ივლისის 6-ს, 1943 წ.

„რასაც შენ იწერები, ეს არ იყო ჩემთვის მოულოდნელი. მე უკვე მარშალისაგან (მხედველობაშია ფინეთის მარშალი მანერჰაიმი, რომელიც მან ადრე ინახულა და სთხოვა ჰიტლერზე გავლენა მოეხდინა აღმოსავლეთ პოლიტიკის შესაცვლელად) ვიცოდი, რომ მეთაურის შეხედულება, ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში, უცვლელი დარჩა. მით უარესი ყველა ჩვენთვის. მიუხედავათ ამისა, მე ერთი წუთითაც არ მომსვლია აზრათ დამენანოს ის, რაც გავაკეთეთ ამ საფათერაკო გზის შესაცვლელად. მე კარგათ ვიცი, თუ რა სახიფათო იყო ჩემი მოგზაურობაც ...“

...„ მაშ ასე, ბრძოლის ბედი უნდა გადაწყვიტოს მხოლოდ და მხოლოდ იარაღმა. ამ შემთხვევაშიც ჩვენი პოზიცია იგივე რჩება. ჩვენ ვმოქმედებთ იმ დარგში, სადაც ამ მოქმედების საშუალება არის. შენ იცი, რომ ჩვენთვის ქართველ ტყვეთა საკითხი უაღრეს ეროვნული მნიშვნელობისაა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ჯიშის მოსამრავლებლათაც არაფერი დაგვრჩენია. მაშასადამე მათი ფიზიკურად გადარჩენა, პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაცია. დიდი პრობლემაა და აქ მთელი ჩვენი ენერგია უნდა დაიხარჯოს. შესაძლოა აქაც ვერას გავხდეთ; ან ის მიმართულება ვერ მივცეთ, რაც ჩვენთვის საჭიროა, მაგრამ ჩვენი ცდა უნდა ნათლად სჩანდეს. პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული ჩვენთვის მეტად ძნელი იქნება გერმანიის სარდლობას მივაღებინოთ ჩვენი შეხედულება, მაგრამ თვითეულმა ქართველმა თავის უწმინდეს მოვალეობათ უნდა გაიხადოს, რომ ის მცირე ძალები, რომელიც ტანჯულ ჩვენს ერს დარჩა, არ გაიფანტოს და არ დაიხარჯოს ისეთი მიმართულებით, რომელიც ომის ბედის გადაწყვეტაში ყოველ მნიშვნელობას მოკლებულია და ჩვენთვის კი სამუდამოდ გამანადგურებელი. ამიტომაც ჩვენ სავალდებულოდ მივაჩნევია, რომ ამ საქმის სათავეში იქნეს ისეთი პირი, რომელიც ჩვენთვის ზემო მოყვანილ შეხედულების განხორციელების გარანტია იქნება ...“

... „ აქედან შენ ადვილათ დაასკვნი შესახებ **Verbindung Stab**-ისა (საკავშირო შტაბი). აქ უნდა დარჩეს სანდო, პოლიტიკურ პასუხისმგებლობის პირი, რომელიც ქართულ წრეების ნდობით სარგებლობს“.

ნოე ჟორდანიას წერილი: 10 ივლისი 1943 წელი.

...„თქვენი წერილის პასუხი უკვე გექნებათ მიღებული ევგენისაგან. ჩვენ ვრჩებით ძველ პოზიციაზე და ვაგრძელებთ მუშაობას იმავე ხაზით. კარგი იქნებოდა პოლიტიკური მხარე თავიდანვე ყოფილიყო გამოჩენილი, მაგრამ რაკი ეს არ ხერხდება დავუცადოთ შესაფერ მომენტს ...“

ქართველი ერის მიერ ნებაყოფლობით არჩეული მთავრობა, მისი ერთად-ერთი კანონიერი მოლაპარაკე იყო საზღვარგარეთ, ამიტომ მიხ. კედია და სხვა მრავალი ქართველი მზად იყო ამ წერილებში გამოთქმული მოწოდების შესაფერის მოქმედებისათვის.

საფრანგეთში, გერმანიაში და პოლონეთში არსებული ქართული წრეების წარმომადგენლების უმრავლესობაც, მთავრობის მსგავსად აფასებდა შექმნილ სახიფათო მდგომარეობას. ამიტომ გადაწყვეტილ იქმნა, „ქართული საკავშირო შტაბის“ შექმნა, გერმანიაში ქართული ინტერესების დასაცავად. სახელწოდება „საკავშირო შტაბი“ გამონახული იყო, იმიტომ, რომ ჰიტლერი და მასთან ახლო მდგომი წრე უკრძალავდა ამ საკითხებით დაინტერესებულ გერმანულ უწყებებს, ქართულ და მსგავს ემიგრაციების წარმომადგენლებისათვის „კომიტეტების“ შექმნის უფლების მიცემას, რადგან ამას პოლიტიკური ელფერი დაედებოდა, რასაც პოლიტიკური მოთხოვნილებები, შიძლება, თან მოჰყოლოდა, ეს კი, იმ დროს, ჰიტლერის ანგარიშში არ შედიოდა.

დიდი გაჭიანურების შემდეგ „ქართული საკავშირო შტაბი“ დაარსდა 1943 წლის ოქტომბერში. მისი წევრები შერჩეულნი იქმნენ ხანგრძლივი აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ლტოლვილობაში მყოფ საქართველოს მთავრობის და სხვა ზემოდ აღნიშნულ ქართული წრეების მიერ. ემიგრაციის დიდმა ნაწილმა „შტაბს“ მხარი დაუჭირა. ამ მხრივ დამახასიათებელია პარიზში მიღებული რეზოლუცია:

რეზოლუცია წარდგენილი ბ-ნ ევ. გეგეჭკორის მიერ პარიზის ეროვნულ თათბირზე და მიღებული ერთხმად:

„ქართული ეროვნული ერთობის თათბირმა მოისმინა რა ბ-ნ მ. კედიას მოხსენება საკავშირო შტაბის დაარსების შესახებ, იმედს გამოსთქვამს, რომ მიუხედავად საერთო მდგომარეობის სირთულისა, ხსენებული ორგანო ყოველ ღონისძიებას იხმარს, რათა ქართველ ტყვეებს და ლეგიონერებს შესაფერისი მზრუნველობა გაუწიოს, სულიერი და პოლიტიკური სულისკვეთების შექმნისათვის, რომელიც ამ ცოცხალ ძალისაგან მოამზადებს ქართულ ეროვნულ ბრძოლისათვის საჭირო ძალას.

თათბირი მოუწოდებს ეროვნულ ერთობის წევრებს ენერგიულად მხარი დაუჭირონ აღნიშნულ შტაბს დასახულ მიზნების მისაღწევად“.

პარიზი 27.10 1943 წ.

კრების თავმჯდომერის და მდივნის ხელის მოწერა.

„ქართული შტაბის“ დამტკიცება და მის მიერ ქართული ინტერესების დასაცავი მუშაობა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ გავლენიან გერმანელების დახმარებით, რომლებიც ზოგიერთ უწყებებში იმყოფებოდნენ, ჰიტლერის და მისი წრის აღმოსავლეთ პოლიტიკის წინააღმდეგნი იყვნენ და მის შეცვლას ცდილობდნენ. ამიტომ საჭიროა აქ მათზე უფრო ვრცლად შეჩერება.

შულენბურგი და მისი გეგმა წინა წერილში უკვე მოვიხსენიეთ. მას მრავალი მხარის დამჭერი გამოუჩნდა გერმანული ჯარის ოფიცრებს შორის. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ კრემლის დამარცხება შეიძლებოდა მხოლოდ ამ გზით. შემოდგომის და ზამთრის მოვლენებმა ეს შეხედულება უფრო მეტად დამტკიცეს. წითელ არმიელებს ამ დროს უკვე გაგებული ჰქონდათ, თუ რა დაემართათ მათ მეგობრებს, რომლებიც გერმანელებს ტყვეთ ჩაბარდნენ და ამიტომ გამწარებული წინააღმდეგობის გაწევა დაიწყეს, მოსკოვის და ლენინგრადის დაცვის დროს. ქალაქის და სოფლის ზოგიერთი მცხოვრები გაექცა ჰიტლერის სამუშაო ბანაკებში რეკრუტირებას და როგორც ზემოდ ვახსენეთ, პარაშუტებით გერმანულ ჯარის ზურგში გადასხმულ „პარტიზანებმა“, ამიტომ ფეხის მოკიდება შესძლეს.

უკვე ითქვა, რომ ომის დასაწყისში ჰიტლერის ცოდნის გარეშე, გერმანულ არმიის ნაწილებმა ფრონტზე, საკუთარი ინიციატივით, დაიწყეს მოხალისე უკრაინელების, ბალტიელების, ბელორუსების და რუსების გამოყენება. ისენი პირველ ხანებში დანიშნეს სამზარეულოებში, სახელოსნოებში, ცხენების მომვლელებათ, მომმარაგებელ ნაწილებში და მოგვიანებით ფრონტზე ტყვია-წამლის და იარაღის მიმწოდებლებად. მათ გერმანელი ჯარისკაცების ადგილი დაიჭირეს, რადგან ფრონტზე გაზრდილი მოთხოვნილების გამო, გერმანელები წინა ხაზებზე გაიგზავნენ. ამას მოჰყვა მოხალისეების გერმანულ ნაწილებში პიროვნულად მიღება იმავე საფუძვლებზე, როგორც გერმანელი ჯარისკაცების. მათი თავის დაჭერა და სამსახური იმდენად დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, რომ სულ მოკლე ხანში გერმანულმა დივიზიებმა, კორპუსებმა და არმიებმა, სპონტანურად „თავიანთი საკუთარი“ პატარა მოხალისეთა ნაწილები შეადგინეს. (იხ. **Stauffenberg. Joachim Kramarz, The Mac Milan Company, New York, pages: 96, 97, 98, 99.**) ამნაირად 1942 წლის გაზაფხულზე 200.000-მდე საბჭოეთიდან გადმოსული მოხალისე იყო გერმანულ ჯარში; გარნა 1941 წლის ალტაცება მოხალისეებს შეუნელდათ და ფსიქოლოდიურად ხშირად მძიმე მდგომარეობა იქმნებოდა, რადგან მათ თანამემამულეებს, ტყვეთა და სამუშაო ბანაკებში, მეტად ცუდ პირობებში უხდებოდათ არსებობა.

1942 წლის ზაფხულის დასაწყისში, გერმანული არმიის გენერალური შტაბი შეუდგა არსებული ნაწილების მოწესრიგებას და მის ორგანიზაციას. ამას სათავეში ჩაუდგა გენერალური შტაბის მაიორი (მოგვიანებით პოლკოვნიკი) გრაფი კლაუს შენკ ფონ შტაუფენბერგი.

ამასთან დაკავშირებით მან ხელახლა დასვა საკითხი, რათა გერმანელებს შულენბურგის გეგმის მსგავსი მოწოდებით მიემართად საბჭოთა კავშირში მოქცეულ ერებისათვის. ეს გეგმა ჰიტლერმა და მისმა წრემ ამ ჟამადაც უარყვეს. გარნა შტაუფენბერგმა ცდაზე ხელი არ აიღო. მან გადაწყვიტა, რათა მოხალისეთა ნაწილებს სათავეში ჩადგომოდა გერმანული კავალერიის გენერალი ერნსტ კოსტრინგი.

გენ. კოსტრინგი, ომამდე, სამხედრო ატაშე იყო მოსკოვში, სადაც ჯერ კიდევ გერმანიის რაიხსვერის უფროსის ფონ ზეკტის მიერ იქმნა გაგზავნილი. ჰიტლერმა ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ კოსტრინგი ჯერ მოხსნა, მაგრამ ორიოდე წლის შემდეგ იგი იმავე თანამდებობაზე დანიშნა, ცხადია, იმიტომ, რომ იგი სწორ უპოვარი სპეციალისტი იყო საბჭოთა საკითხების და წითელი არმიისა. გენ. კოსტრინგი მოსკოვის დროიდან იყო მეგობარი გერმანიის ელჩის, შულენბურგის და მის მსგავსად მოაზროვნე. კოსტრინგი რუსეთში იყო დაბადებული, გაზრდილი და ახალგაზრდობის ერთი ნაწილი იქ გაატარა. მას საბჭოთა კავშირში მოქცეულ რუს და არა რუს ერებისადმი თბილი გრძნობა ჰქონდა; მათ პრობლემებს კარგად იცნობდა და წითელი არმიის მრავალი უფროსი მეთაურის „ნდობით“ სარგებლობდა.

სხვათაშორის ის აფრთხილებდა თავის მთავრობას, რომ რუსეთის წინააღმდეგ ომი არ დაეწყო. ეს შესანიშნავი გერმანელი პატრიოტი, დიდი მოძულე იყო ჰიტლერის რეჟიმის: მასზე საბოლოოდ გულ გატეხილი გენერალი შტაუფენბერგმა დაარწმუნა, რომ გერმანიის, საბჭოთა კავშირში მოქცეულ ერების და საერთოდ კაცობრიობის კეთილდღეობა მოითხოვდა ამ მომენტში მოქმედებას და არა განზე გადგომას. გენ. კოსტრინგმაც შეიცნო ამ ახალგაზრდა გენერალური შტაბის ოფიცრის აზრები და მათი შეთანხმების შედეგად, გერმანულ სამხედრო უწყებაში დაიბადა იდეა საბჭოთა კავშირის ერების განმათავისუფლებელ მოძრაობისა, არა ჰიტლერის, არამედ სხვანაირ გერმანიასთან კავშირში. (იხ. **General Ernst Köstring. Verlag E. S. Mittler und Sohn, Frankfurt/Main, p. 10-11**).

შტაუფენბერგმა, დასაწყისში, მოახერხა კოსტრინგის დანიშვნა კავკასიის საკითხების გენერლად, სამხრეთის ფრონტზე, გენერალ ფელდმარშალ ფონ კლაისტთან, მის ადიუტანტათ დაინიშნა შესანიშნავი ოფიცერი ფონ ჰერვარდი და მათთან ერთად გააგზავნეს დოქტორი ოტტო შილლერი, ყოფილი აგრონომიული ატაშე მოსკოვში.

კავკასია ასეთი ექსპერიმენტისათვის შტაუფენბერგს იდეალურად მიაჩნდა, რადგან ჰიტლერს არ ჰქონდა კოლონიზაციის გეგმა კავკასიის მიმართ. გარდა ამისა, თავისი ბრიდვითი ი დ ე ე ბ ი ს თანახმად კავკასიელებს „არიელებათ“ სთვლიდა და ამიტომ იგი შტაუფენბერგის გეგმებს ხელს ნაკლებად შეუშლიდა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ეს ცდა კარგ შედეგს მოიტანდა, ამის გამოყენება შეიძლეოდა სხვა ერებზეც გასავრცელებლად. კოსტრინგის და გენ. ფელდმარშალ კლაისტის თანამშრომლობის შედეგათ კავკასიაში მომქმედ გერმანულ ნაწილებს მიეცათ ბრძანება რათა კავკასიის მოსახლეობის მიმართ თავი ისე დაეჭირათ, როგორც საკუთარ ქვეყანაში, ე. ი. გერმანიაში მანევრებზე ყოფილიყვნენ; ამასთან დაკავშირებით შემდეგი პუნქტები იყვნენ მოყვანილი:

1. მოექეცით კავკასიის მოსახლეობას ისე, როგორც მეგობრებს,
2. კოლმეურნეობების გაუქმებას ხელი არ უნდა შეეშალოს,
3. რელიგიური სალოცავი ადგილების აღდგენას ხელი არ უნდა შეეშალოს,
4. კერძო საკუთრებას პატივი უნდა ეცეს და თუ საჭიროებისამებრ მოსახლეობისაგან რამეს მიღება არის აუცილებელი, ამის საფასური გადახდილი უნდა იქმნეს,
5. მოსახლეობის ნდობის დამსახურება კარგი თავის დაჭერით და საქციელით,
6. ყველა დისციპლინური ან სხვა საქციელისათვის ახსნა-განმარტება უნდა მიეცეს მოსახლეობას,
7. განსაკუთრებით პატივი უნდა ეცეს კავკასიელ მანდილოსნების ღირსებას. (იხ. **German Rull in Russia, by Alexander Dallin, MacMillan and Co. New York, page 241**).

კავკასიაში ასეთი პოლიტიკის წარმატება პოლიტიკურად, ეკონომიურად და სამხედრო თვალსაზრისით ძლიერ დიდი იყო. ჩრდილო კავკასიაში, ალბად ამიტომ, „პარტიზანულმა“ მოძრაობამ ფეხი ვერ მოიკიდა, გარნა მოგვიანებით ეს ძვირად დაუჯდათ ჩრდილოკავკასიელებს, როცა კრემლმა მათი ათიათასები მშობლიური მიწა-წყლიდან გადაასახლა.

(გაგრძელება იქნება)

გ. გაბლიანი

## ფაქტები ღაღადებენ... ფაქტები

(დასასრული. იხ. „ქ. აზრი“ № 88)

თურქმა მოგზაურმა ევლია ჩელებიმ, როცა ის მოგზაურობდა შავი ზღვის სანაპიროზე 17-ტე საუკუნეში, კეთილსინდისიერად აღწერა ეს ადგილები, მისი მცხოვრებლები და უწოდა მას საქართველოს შავი ზღვის სანაპირო აღწერილობა.

ძალიან არ გვინდა დავტვირთოთ ჩვენი მკითხველი და მოვიყვანთ მხოლოდ კიდევ ორიოდე მაგალითს, რომ ქართველები როდი არიან აფხაზეთში სხვებივით ჩასახლებულნი, როგორც ეს ხარმანდარიანს ჰგონია!

ავიღოთ სოფელი „აშე ღალე“. ეს სახელწოდება ქართულია. ამას ადასტურებს აგრეთვე ევლია ჩელების თხზულებათა მთარგმნელი ფრიდრიხ ბრუნო. მას სიტყვა „ღალი“ მიაჩნია ქართულ სიტყვად და სამართლიანად დაუკავშირა იგი მეგრულ „ღალს“, რაც ნიშნავს პატარა მდინარეს. თვით სახელწოდება დღევანდელი სოჩისა, რომელიც დღეს საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში შედის ქართულია და ნიშნავს „სოჭი“. იგი კიდევ სახელია ხისა ქართულად. აბა რამდენი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, რომ ადგილი ამის ნებას გვაძლევდეს. ამ საკითხზე კი ჩვენი დასკვნა ასეთია: ისტორიულ ტერიტორიაზე, ანუ თანამედროვე აფხაზეთის ასსრ, ადლერის, სოჭისა და ტუაპსეს რაიონებში, დაწყებული ანტიკური ეპოქიდან ცხოვრობდნენ დასავლეთ საქართველოს ქართული ტომები — კოლხები, მეგრ-ჭან-ლაზები და სვანები და მათი მონათესავე აფხაზები.

აი რაზე ღაღადებენ ფაქტები ...

2

„კოდალავ, შენ სულ ეგრე აკაკუნებ,
მაგრამ შენი გაკეთებული ხარატულები ვერა ვნახეო“.
(ქართული-ხალხური)

ამ უკანასკნელად „სამეცნიერო ასპარეზზე“ გამოდის კიდევ ვიღაც ახალი სწავლული ქ. კ. ხაჩატრიანი თავისი საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატით, რასაც ეწოდება „არმიანსკიე ნაროდნიე პლიასკი დჯავახკა — დჯავახეტი“.

რა აწუხებს ამ „მეცნიერს“? აი რა? — იგი სწერს: „დანაია რაბოტა პოსვიაშჩენა იზუჩენიუ პლიასოკ დჯავახკა — ოდნოგო იზ დრევნეიშიხ არმიანსკიხ ეტნოგრაფიჩესკიხ რაიონოვ“.

ვაი შენ ჩემო თავო! — ჯავახეთი თურმე უძველესი სომხური რაიონი ყოფილა. ასეა ეს ვითომ? ფაქტები, დიახ ფაქტები ღაღადებენ შემდეგს: ეს მხარეები სამხრეთ ქართლისა — თრიალეთი და ტაშირი (რა თქმა უნდა ლორი-ბამბაკით) და მესხეთის მხარეები ჯავახეთი და არტაანი, როგორც ანტიკურ ხანაში, ისე ადრეულ საშუალო საუკუნეში იბერიის განუყოფელ ნაწილს წამოადგენდა და არ შედიოდა სომხეთში. მაგრამ ჩვენდა სასიამოვნოდ ხაჩატრიანი იქვე ვარდება წინააღმდეგობაში, როცა ამბობს: „პრეობლადაიუშჩეე ნასელენიე დჯავახკა ნინე სოსტავლიაიუტ პერესელენცი იზ ბივშეი კარინსკოი (იცის ამ მეცნიერმა, რომ ერზერუმს წინედ „კარი“ ერქვა და ეს სახელი ქართული წარმოშობისაა? მ. ლ.) ერზერუმსკოე ობლასტი ზაპადნოი არმენიი ... ნაზვავ ნაშუ რაბოტუ „არმიანსკიე ნაროდნია პლიასკი დჯავახკა (დჯავახეტი) მი ნე ოგრანიჩილის სბორომ მატერიალოვ ვ პრედელახ ისტორიჩესკიხ გრანიც ეტოი ტერიტორიი ვ სვიაზი ს ტემ, ჩტო ვ 1830 გოდუ ტუდა პერესელილის ბოლშაია ჩასტ ნასელენია კარინსკოგო (ერზერუმსკოგო უეზდა ..

მაშ რაღას ამტკიცებდა დასაწყისში „უძველესიაო“? ასეთ ადამიანზე იტყვიან ხოლმე ჩვენში: „ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“.

ვნახოთ რა ვითარებაში იყო ეს „უძველესი“ სომხური ეთნოგრაფიული რაიონი სანამ ხაჩატრიანი თავის მეცნიერული შრომით გაგვაბედნიერებდა. აი რას სწერს ამის შესახებ საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი ჰაკოფ მიქაელიანი: „უცხოელთა სისტემატიური თავდასხმების შედეგად 18 საუკუნის მეორე ნახევარში ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის ნაწილი გაიჟლიტა, ხოლო გადარჩენილებმა მიატოვეს მშობლიური ადგილები და საქართველოს შიდა რაიონებში გადასახლდნენ. წალკის ზეგანი 1830 წლამდე დაუსახლებელი დარჩა. თრიალეთის ტერიტორიას ამ დროს ბორჩალოს თურქები იყენებდნენ საძოვრებად. ქართული სოფლები ნაოხარ ადგილებად იქცნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფაქტები ლაღადებენ . . . ფაქტები

(დასაწყისი იხ. 2-რე გვ.)

1830 წ. კარინის ვილაეთიდან აქ გადმოსახლებულმა სომხებმა და ბერძნებმა, თან მოიტანეს თავიანთი წინანდელი სოფლების ძველი სახელები. სოფლების ძველი ქართული სახელები შეიცვალნენ. ასე, მაგ.: ფარახეთი გახდა დარაგიულ, თეზი — ავრანლო, ცრიცი — აშყალა, ახალქალაქი — დაღბაშ, ლოლთისი — ოლიანაკ, კუკია — სანამერ, თეთრიწყარო — აიაზმა. ამ სახელებს არავითარი კავშირი არა აქვთ ძველ ქართულ ისტორიულ სახელებთან, დღემდე ხელუხლებელია. ჩვენი აზრით, ისეთ ისტორიულ რაიონს, როგორიცაა თრიალეთი, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა და აღადგინოს სოფლების ძველი ქართული სახელები". — სამართლიანად სწერს მეგობარი სომეხი.

ეს რაიონი, რომელსაც გვედავება ხაჩატრიანი, ადრეულ შუასაუკუნეში და თვით ანტიკურ ეპოქაში შეადგენდა სამხრეთ საქართველოს საერისთავოს. ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ალ. რობაქიძე მოგვითხრობს შემდეგს: . . . „იგი შეადგენდა სამხრეთ საქართველოს საერისთავოს, რომლის სიმდიდრე-სიმტკიცეზე ბევრად იყო დამოკიდებული მთლიანად საქართველოს ბედ-იღბალი. მისი სტრატეგიული მდებარეობის გამო იგი გახდა ისტორიული ქართლის ერთერთი ასპარეზი . . . რუსეთ-თურქეთის (1828-1829) ომის შემდეგ დადებული ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების ერთი მუხლის თანახმად, თრიალეთის ტერიტორიაზე გადმოსახლებული იყვნენ თურქეთის ე. წ. ურუმები . . . და მათთან ერთად არა ურუმი **სომხები**( ხაზი ჩემია, მ. ლ.) ჩამოსახლებულნი თრიალეთის ტრადიციულ სოფლებში სახლდებოდნენ. დასახლების პროცესში მათ მრავალ პირველ ქართულ ტოპონიმს სახე შეუცვალეს" (იხ. „ლიტერატურული საქართველო", 1971 წ. მარტი).

მაშასადამე, ამ ძველ „სომხურ ეთნოგრაფიულ რაიონში" სომხები ჩნდებიან მხოლოდ 1830 წელში.

საერთოდ ეს ტენდენცია არახალია, ძველია. მხოლოდ ის უცდის შესაფერ მომენტს და მაშინვე გამომზეურდება ხოლმე. საჭიროა მხოლოდ ხელსაყრელი პირობები. მაგ., როცა 1933 წელს საქართველოში დაიწყო ახალი დარაიონება, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ახალქალაქის და მისი რაიონის შესახებ ვიღაც გალუსტიანმა „ფრთხილად" და წარმოიგდინეთ „თავაზიანათ" წამოაყენა საკითხი, ახალქალაქის ლენინაკანისათვის (სომხეთის სსრ) შეერთების შესახებ, იმ მოტივით, რომ ლენინაკანი ახლოა ახალქალაქთან და ხელმძღვანელობა უფრო „ელასტიური" იქნებაო.

აქ მიუნხენში, 1954 წ. ვიღაც სარუნმა მეგრელები და სვანები სადაოდ გაგვიხადა და ამტკიცებდა მათს არა ქართულ წარმოშობას.

ამას წინად ერთ სომხურ გაზეთში (ერევანში გამოდის), დაიწყეს ლაპარაკი საზღვრების „შესწორებაზე" და შულავერი სასურველად სცვნეს სომხეთში შესულიყო. შულავერი მდებარეობს ბორჩალოს მაზრაში, ხოლო „ბორჩალოს ძველ ქართულ ისტორიაში სომხითი ეწოდებოდა, ვინაიდან, იქ ქართულ მოსახლეობაში ფართოდ იყო გავრცელებული სომხური, ანუ გრიგორიანული სარწმუნოება. ბორჩალოში შედიოდა სამი მხარე: თრიალეთი (წალკა), ლორე (ტაშირი) და ხუნანი (მაზრის ჩრდილო ნაწილი). 17-ტე საუკუნეში სპარსელებმა დაასახლეს თათართა მომთაბარე ანუ მოწოწიალე ტომი ბორჩალუ და აქედან მთელ მხარეს დაერქვა ბორჩალო. ბორჩალო ყოველთვის ქართულ სამეფოს ეკუთვნოდა და მის მოწინავე დროშას". (იხ. ბ. ბებურიშვილი, „ქართველი ერი", ბერლინი, 1944 წ.

***

„თვითეული, რომელიც სწერს ისტორიას
და ამახინჯებს მის ფაქტებს — უვიცი
მოქალაქეა".

(კ. ჰელვეციუს)

***

უკანასკნელად „სამეცნიერო" არენაზე გამოჩნდა ვიღაც მურადიანი, რომელსაც დიდი მისია დაუსახავს მიზნად. შეიძლება მკითხველი შეგვეკითხოს, რა მისიაა ასეთი? აი რა: საქართველოში უამრავია ტოპონიმი „ისით" დაბოლოვებული. მაგ. ტფილ-ისი, ქუთა-ისი, მანგლ-ისი, ედრ-ისი, სობლი-სი, ტაძრი-სი და სხვ. ამ „ისის" სადაურობის გამორკვევა დაუსახავს მიზნად მურადიანს. თავის „სამეცნიერო" აზრების გამოსახატავად მურადიანს ბინა დაუდვია სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ-მეცნიერებათა -მაცნე-ში. (იხ. აკადემია ნაუკ არმიანსკოი სსრ. ვესტნიკ ობშჩესტვენიხ ნაუკ) № 4, 340, 1971 წ. და დაუსვამს მეტად თავსატეხი კითხვა: — კაკ ობიასნიტ ტაკოე იზობილიე ტოპონიმიჩესკიხ ნაზვანიი ს ოკონჩენიემ ნა „ისი", სობსტვენო „ის", ვ გრუზინსკომ? და მისულა იმ დასკვნამდე, რომ: „ . . . ჩასტ ტოპონიმიჩესკიხ ნაზვანიი იზ გრუზიი ს ოკონჩენიემ „ისი" იმეეტ ოდინაკოვოე პროისხოჟდენიე, ტ. ე. ნიხ ზაფიქსიროვანა ფორმე ვინიტ. პადეჟა პო ნორმამ არმიანსკოგო იაზიკა".

ამაზე აი რა სამართლიანი დასკვნა გამოაქვს აკაკი ბაქრაძეს: „კარგად დააკვირდით ამ წინადადების არა მარტო უშუალო აზრს, არამედ ქვეტექსტსაც. მურადიანი სწერს არა ჩასტ გრუზინსკიხ ტოპონიმიჩესკიხ ნაზვანიი იზ გრუზიი, ე. ი. ეს ტოპონიმები საქართველოდან არის, მაგრამ ქართული არ გეგონოთო".

აკაკი ბაქრაძე განაგრძობს: „უნდა მოგახსენოთ, რომ ფრიად საინტერესოა მურადიანის უტიფრობა. ქართულ წყაროებში ხშირად იხსენიება სომხური ქალაქები ანისი, გარნისი, ბიჯნისი. აქ მეტად საყურადღებოა, რომ ამ ქალაქებს; ანისი გარნისი, ბიჯნისი ქართულად ჰქვია, თორემ სომხურად მათ ეწოდება ანი, გარნი, ბჯნი. მოდი და ნუ გაოცდები: მურადიანი ამტკიცებს, „ისი" სომხური წარმომავლობის ბოლოსართიაო და ამ დროს ისტორიაში დიდად ცნობილი სომხური ქალაქები ამ დაბოლოებას სომხურად არ ატარებენ. მაგრამ მურადიანი ხომ მურადიანი აღარ იქნებოდა ლოგიკის წინაშე თუ უკან დაიხია! თურმე იცით რა მომხდარა? ისიანი ფორმა სომხებს დაუკარგავთ და ამიტომ გაჩენილა ანისის მაგიერ ანი, ბიჯნისის მაგიერ ბჯნი, გარნისის მაგიერ გარნი. მაგრამ ის, რაც სომხებს დაუკარგავთ, ქართველებს შეუნახავთ. ამიტომ ყოფილა ქართულად ანისი, ბიჯნისი, გარნისი" და სხვა.

კიდევ შეიძლებოდა ბევრი მაგალითის მოყვანა მურადიანის მეცნიერული „აბდა-უბდიდან", მაგრამ ისიც ზედმეტია რაც ითქვა ამ ვითომდა მეცნიერზე.

სად არიან ჩვენი სახელგანთქმული მეცნიერები? რატომ არაფერს ამბობენ ამაზე? შეიძლება ფიქრობენ, რომ თუ რამე ვთქვით ნაციონალიზმს დაგვაბრალებენ და ამან შაირისაგანო. მაგრამ ჩვენი ეროვნული მეობის დაცვა განა ნაციონალიზმია, ან შოვინიზმი? ქართული ნაციონალიზმი არავის ესხმის თავს. იგი არააგრესიულია, თავდაცვითია. ხოლო ეროვნული ვინაობის დაცვა არ არის სათაკილო საქმე. სათაკილოა, როცა ეროვნულ ვინაობაში გვედავებიან, როცა ისტორიას გვიმახინჯებენ, ჩვენს ძირეულ ეროვნულ საძირკვლებს გვითხრიან და კიდევ გვეუბნებიან: ნუ იტყვით რამეს, თორემ შეიძლება მოხდეს ე. წ. „ლენინური მეგობრობის" ყბადაღებული პოლიტიკის დამახინჯებაო. კარგი, მაგრამ ე. წ. ლენინური ინტერნაციონალი მარტო ქართველებისათვის არის სავალდებულო და არა სხვებისათვის?

დალოცვილო, შენს ვინაობაზე რომ ხმა აღიმაღლო შოვინიზმია? რად უნდა გვეშინოდეს ჩვენი ვინაობის დაცვისა? მართლაცდა იმისთანა შიში დაიქცეს, როგორც ამას ქართული ხალხური სიბრძნე ამბობს: „იმისთანა შიში დაიქცესო, რომ მეწისქვილეს ის ვერ უთხრაო, მსხვილათა ფქვავ და წმინდათ დაფქვიო".

დიდი ილია მედგრად იცავდა საქართველოს ისტორიას, ქართველი ერის წარსულსა და მის სახელს ყოველგვარი შავრაზმელებისაგან და ეროვნულ ნიჰილისტებისაგან. დიახ! გაფრთებული სულით იბრძოდა იგი აგრეთვე ქართულ წიაღში უცხოდ ჩათესლილ შხამიანი თესლის ნაყოფისაგან ჩვენი ეროვნული მეობის დასაცავად. დიდ ილიას უყვარდა და პატივსაცემდა თავის ერს, ასევე პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობოდა სხვა ერის წარსულს და კულტურას, განსაკუთრებით სომხის ერისას და ასეთივე პატივისცემას მოითხოვდა ის თავის ერისათვის. ილიას უკვდავი მემკვიდრეობა გვავალებს ჩვენც ჩვენი წვლილი შევიტანოთ ჩვენს ეროვნულ მეობის დაცვის საქმეში.

ქართველებს შოვინისტობას და კაცთმოძულეობას ვერავინ დასწამებს, ბოროტი და თავგასული ადამიანის გარდა. ქართველი სხვას არაფერს ართმევს. არავინ დაურბევია მას, არავინ დაუჩაგრია, მაშინაც კი, როცა ძლიერი ვიყავით. ორზღვას შუა გაჭიმული ქართული სამეფო შექმნილი ჩვენი სახელოვანი ბაგრატიონების მიერ, ყოველთვის მფარველად ევლინებოდა დაჩაგრულთ, მით უფრო სომხებს: **„როცა მთელს კავკასიაში პირველობა ქართველების ხელში გადავიდა ,ქართველები მუდამ დამხმარენი და მფარველნი იყვნენ სომხებისა; სომხეთის დიდი ნაწილიც საქართველოს სამეფო ფარგალში მოექცა და ეს დრო იყო სომხური კულტურის აყვავების ერთი საუკეთესო ხანათაგანი, პირდაპირი არაჩვეულებრივი სიყვარულით და კეთილშობილებით ეპყრობოდნენ ქართველთა მეფეები სომხებს".** (იხ. სამსონ ფირცხალავას სტატია „სომხები და ქართველები", ჟურნალ „სამშობლოში", საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის პერიოდული ორგანო. პარიზი, 1934, გვ. 35, ნომერი 16).

პატივისცემით მოვეპყრათ ერთმანეთის ვინაობას, ნუ შევუგინებთ და ნუ დავუმცირებთ ერთმანეთს ეროვნულ თავმოყვარეობას, კულტურას, ისტორიას, მრავალსაუკუნოვან მეზობლობის ტრადიციას. იცხოვრე ისე, რომ მეც მომცე შესაძლებლობა ცხოვრებისა.

ოდესღაც დამოუკიდებელი და სრულფასოვანი სახელმწიფო — სამეფო გვქონია სომხებსა და ქართველებს. ერთმანეთი ჭირში თუ ლხინში გაგვიტანია. ეხლაც უნდა ამოუდგეთ ერთმანეთს მხარდამხარ. ამას მოითხოვს ჩვენი ორი ისტორიული ერის სასიცოცხლო ინტერესები.

ამას კარგად გრძნობდნენ სომეხი ერის სახელოვანი შვილები: სომეხი განმანათლებელი ხაჩატურ აბოვიანი, კრისტალური სიწმინდის ადამიანი ჰოვანეს თუმანიანი, რომელმაც სომხის ერს ანდერძად შემდეგი დაუდო, სიბრძნე უკვდავი: „ტოტ არმიანსკი დეიატელ, კოტორი ნე სტანოვილსია ნა ზაშჩიტუ გრუზიი — ნე პონიმალ სვოეგო ნაროდა ი სვოეი ისტორიი, ი ტოტ გრუზინ, კოტორი ნე ზაშჩიშჩალ არმიან ი არმენიი, — ნე პონიმალ გრუზინსკოგო ნაროდა ი ისტორიჩესკიხ პუტეი გრუზიი".

„ვაგლახ დიდო ოვანეს, რად არ ესმით შენი ეს წინასწარმეტყველური ანდერძი ქართველ-სომეხთა მეგობრობის ცრუ მქადაგებლებს გ. ვერმიშევს, მ. შათირიანს და სტ. ზლობინს, იმათ, ვისი სიტყვა და საქმეც ისე შორი-შორსაა ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა". (იხ. რევაზ ჯაფარიძე: „რაც მტრობას დაუნგრევია". მნათობი, 1969 წ. 12-ე ნომერი, გვ. 192).

ეს სიტყვები სავსებით ზედგამოჭრილია მურადიანებზე, ხაჩატრიანებზე, მარხადარიანებზე და მათ თანამეგობრებზე.

მიუნხენი, 1971 წ. აგვისტო.

(გაგრძელება იქნება)

**მინდია ლაშაური**

## ქსნის საერისთავო და მისი უკანასკნელი ერისთავები

(ისტორიული ნარკვევი)

(გაგრძელება. იხ. „ქ. აზრი" № 88)

სამისო ცნობებს ვხვდებით აკ. გულდენშტეტის „მოგზაურობაში", რაც ზევითაც გაკვრით მოვიხსენიეთ, ვინაიდან გულდენშტეტის შრომა მრავალმხრივ არის საინტერესო, ამიტომ გვინდა აქედან ქსნის საერისთაოს შესახები ზოგი ადგილები გავიხსენოთ. ეს მოგზაური 1772 წელს (თებერვალში და მარტში) სამეცნიერო მიზნით საქართველოს ეწვია. ერეკლე მეფემ, რომელიც მწერლობა-მეცნიერებისადმი მუდამ მღვივე ინტერესს იჩენდა, გერმანელი სწავლული ღირსეულად მიიღო და პატივსცა. კახეთში მოგზაურობის დროს, როსაც მეფე ლეკების გახშირებული თავდასხმების გამო საინსპექციო და სამხედრო მიზნით ეწეოდა, გულდენშტეტი თან იახლა, გზა და გზა მეფე ცხოველი ინტერესით ეპყრობოდა ამ მეცნიერის მუშაობას და დაკვირვებებს. 1 აპრილს მეფე სასწრაფო საქმეების გამო თბილისს დაუბრუნდა, მაგრამ გულდენშტეტის სამეცნიერო ექსკურსიების შეჩერება არ ინება და მისცა მას ყოველგვარი დახმარება, გამყოლად ასი მხედარი და გაისტუმრა არაგვისა და ქსნის საერისთავოში.

მეფემ საგანგებო შიკრიკით გააფრთხილა ქსნის ერისთავი დავითი და დაავალა მეცნიერ მოგზაურისათვის ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინა. ამგვარივე წერილი თვით გულდენშტეტისათვისაც გადაუცია მეფეს.

გულდენშტეტი მხლებლებითურთ წასულა და გზა და გზა დაუთვალიერებია ციხეები: ახმეტა, მატანი, ბახტრიონი და სხვ. 5-,4.-ს ანანურში ასულა. აქ მას დახვედრეს საგანგებო მიპატიჟება ახალგორის სასახლიდან ქსნის ერისთავის დავითისა. მეცაო, ამბობს მეცნიერი, დიდის აღტაცებით მივიღე ეს მიწვევა, რადგან მეფე ერეკლემ ადრევე მიბრძანა მისი ნახვა და საამისო წერილიც მისწერა ერისთავსო, მისი (ერისთავის) დახმარება ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობის იყო, ვინაიდან ერისთავი საქართველოს უდიდესი მაგნატი იყო.

როგორც ავტორი აღიარებს, დავით ერისთავის გაცნობას ძვირფასი შედეგი მოჰყოლია, „მან ჩემი ექსკურსიების დროს დიდი დახმარება აღმომიჩინა და მუდამ მაძლევდა მხლებლებს („ლეკთა ბრბოების თავდასხმის გამო მოგზაურობა სახიფათო იყოო") ხან 50 და ხან 100 კაცს, ან კიდევ მეტსაც. ხანდისხან თვით დავით ერისთავი წინ მიგვიძღოდაო", დასძენს გულდენშტეტი. „უამისოდო", სწერს მეცნიერი მის დაუხმარებლად „მე ექსკურსიების მოწყობას ვერ შევძლებდიო".

ახალგორში, ერისთავების სასახლეში მან მოაწყო ცენტრი მისი ექსპედიციებისა და როდესაც მაისის 2-ს იქედან დროებით თბილისისაკენ მუხრანით გამობრუნდა, მას დ. ერისთავი წარუძღვა თავისი რაზმით, გზაში კი ერეკლემ მას თავისი 300 კაცისაგან შემდგარი რაზმი შეაგება.

თბილისიდან ექსკურსიები ცალკეულად ეწყობოდა: (სოღანლუღი, ლილო, თელეთი, ბორჩალო, ახტალა, შულავერი, ბოლნისი და სხვ.) და დ. ერისთავი ხშირად უძღოდა საგანგებო რაზმებს.

თბილისში მათ დაჰყვეს 19 ივნისამდე და დიდის მადლობით გამოეთხოვა გულდენშტეტი ერეკლე მეფეს, რათა ეხლა იმერეთის მეფეს, სოლომონს, სწვეოდა იმავ მეცნიერული კვლევების მიზნით. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთის ემისრები და გენერლები (სუხოტინი, ლვოვი და სხვ.) ხან სოლომონ დიდის კარზე და ხან ერეკლე მეფის სასახლეში მიმოდიოდნენ, ბჭობას მართავდნენ და საქართველოს სიმდიდრე-ძლიერებას საფუძვლიანად ირკვევდნენ.

იმერეთში გამგზავრების წინ, გულდენშტეტი ახალგორში ეახლა დ. ერისთავს და მასთან ერთად დაიარა ქსნის ხეობის ციხე-მონასტრები. შემდეგ ოსეთის სოფლებს ეწვიენ. 2 ივლისს, პატარა ლიახვზე ყოფნის, დროს, მათ ეწვია დ. ერისთავის ბიძაშვილი ყულარაღასი გიორგი (სჩანს, შანშეს ვაჟი), რომელმაც ერისთავს დიდი ალიაქოთი აუტეხა, ასე რომ დავითი იძულებული გახდა ლიახვზე ქელოტი (?) და სხვა სოფლები მისთვის დაემტკიცებინაო.

ყულარაღათი გიორგი დავითის შემდეგ ერისთავი გახდა. და ისიც შანშეს ღალატის გზას გაჰყვა, რისთვისაც მოთმინებიდან გამოსულმა მეფემ შეიპყრო და საერისთავო გააუქმა.

3-4-ს გულდენშტეტი დ. ერისთავს ჯავახეთში ჩაუყვანია და იქედან ოსების სოფლებში გადაუყვანია. ჯავიდან დავითს დაუბარებია იქაური უფროსები გულდენშტეტის გამყოლად, ხოლო თითონ თავისი რაზმით 6 ივლის გამოთხოვებია მეცნიერს და ცხინვალისაკენ დაძრულა. წინასწარ კი მას ოსებისათვის (რომლებიც საგანგებოდ დაიბარა) გადაუცია გულდენშტეტი, რათა ამათ ყოველგვარი მფარველობა-მცველობა გაეწიათ და რაჭაში გადაეყვანათ. ამავე დროს დავითს საგანგებო წერილი გადაუცია გულდენშტეტისათვის თავად გიორგი ჯაფარიძესთან ონში, რომელსაც სთხოვდა შესაფერის პატივით მიეცილებინა მგზავრი სოლომონ მეფესთან. აქვე დ. ერისთავს დაუტოვებია გულდენშტეტისათვის თავის რაზმიდან სამი თარჯიმანი — მცოდნე რუსულის, ოსურის და ქართულისა.

ახალგორის სასახლეში დიასახლისობდა ალბათ, დავითის დედა „დედოფალი" ქეთევანი. მაგრამ დასახელებულ წიგნში ჩვენ საამისო ცნობებს ვერ შევხვდით. გულდენშტეტს აღწერილი აქვს ერთი მშვენიერი ქორწილი ახალგორში ერისთავების ოჯახში, მაგრამ, სამწუხაროდ, არ სჩანს — ვინ იწერდა ჯვარს და თუ ეს ქორწილი ახალგორის სასახლეში ხდებოდა . . . შევჩერდეთ ცოტა ხნით ერისთავების ახალგორის სასახლის ამბავზე.

ქსნის საერითავოს სასახლე თავის დროზე შესანიშნავი ნაგებობა უნდა ყოფილიყო, რადგან მას იხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი. მრავალ აოხრებათა შემდეგ მას ძველი სახე დაუკარგავს და დღეს სავალალო შთაბეჭდილებას ახდენს. „ის აგებულია ძველებურ სტილზე ქართველ ფეოდალთა სასახლეებისა. მისი შინაგანი მოპირკეთება კი დაწყებულია ევროპიულ სტილზე, მაგრამ დაუმთავრებელი დარჩენილა. ეხლა ის საკმაოდ გაპარტახებულია. აშენებულია ქსნის ერისთავების ციხის გალავანში. თვით ციხე მოგრძო ოთხ კუთხედს წამოადგენს, რომელიც მაღალის ქვის კედლებითაა გარემოცული . . . კუთხეებში აღმართულია მაღალი კოშკები ძგიდეზედ. კოშკებ ქორის იყო გაშენებული ძველი სასახლე, რომელიც გადააკეთა დავით ერისთავმა მეცხრამეტესაუკუნის მეორე ნახევარში . . ."

აქ მოხსენებული დავით ერისთავი გარდაიცვალა 1889 წ. როდესაც ქსნის ხეობას პირველი სახე და მდგომარეობა სრულიად დაკარგული ჰქონდა და ოდესღაც შესანიშნავი ახალგორი იმით იყო ცნობილი, რომ ის წარმოადგენდა ქსნის ბოქაულის უბანს . . .

დავით ლუარსაბის ძე ერისთავს სრულის დარღვევისაგან დაუცავს სასახლე, მაგრამ მისი სახე და სტილი მთლიანად მოუშლია.

***

დაუბრუნდეთ ერეკლეს ერთგულ დავით მესამეს და მისი დედის ქეთევანის ამბებს.

როგორც მოგზაურ გულდენშტეტის ცნობებიდან ვნახეთ 1773 წ. (როდესაც ქეთევანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქსნის საერისთაო და მისი უკანასკნელი ერისთავები

(დასაწყისი იხ. 3-მე გვ.)

თავისი ფარდა სიონის ტრაპეზს შესწირა) დავითი ქსნის საერისთავოს მბრძანებელი და ერისთავია. ექ. თაყაიშვილის გამოკვლევით დავითი 1774 წ. ალსრულებულა.

დავითის შემდეგ ქსნის საერისთავომ კიდევ სამი წელი იარსება და 1778 წ. ის ერეკლეს გაუუქმებია.

დავით მესამეს ამბებზე და მისი ერისთავობის წლების დადგენაზე ჩვენ ასე ვრცლად იმიტომ შევჩერდით, რათა მისი ღირსეული დედის, ქეთევანის მოღვაწეობა რამოდენიმედ მაინც ნათელ გვეყო.

ქსნის საერისთავოს შესანიშნავ მონასტრების მაშინდელ წარწერებიდანაც ირკვევა, რომ ქეთევანი თავისი შვილის, დავით მესამეს ყველა მნიშვნელოვან საქმეებში ახლო მონაწილეობას იღებდა. ის ყოფილა ერისთავის უახლოესი მრჩეველი და დამხმარე. კიდევ მეტი: იმ წლებში ქსნის „დედოფლად" იხსენიება არა თინათინ, მაჩაბლის ასული და მეუღლე დავითისა, არამედ ქეთევანი, დედა ერისთავისა. (იხ. ლარგვისის მონასტრის წარწერა).

აქედან კი ჩვენ მრავალ გაურკვევლობის ახსნა გამოგვყავს, რასაც „ქართლის ცხოვრებაში" ვერა ვხვდებით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გულწრფელი და ახლო დამოკიდებულება, ის ურყევი და მტკიცე ერთგულობა, რაც ქსნის ერისთავთა შორის მეთვრამეტე საუკუნის გასწვრივ მხოლოდ დავითს გამოუჩენია კახეთის ბაგრატიონების და კერძოდ თეიმურაზ-ერეკლეს მიმართ, სწორედ დავითის დედის, ქეთევანის გავლენას და კეთილშობილ განზრახვას მიეწერება.

როგორც ქვევით ვნახავთ, ქეთევანი ბაგრატიონთა სახელოვან ოჯახს ეკუთვნოდა და ის დედოფალ თამარისა და მეფე თეიმურაზის ოჯახში იზრდებოდა პატარა კახთან ერთად. ამ ოჯახიდან გამოტანილი კეთილშობილი მამიშვილური გრძნობა და ერთგულება ტახტისადმი, ქეთევანმა თავის შვილს, დავითს უანდერძა და ქსნის ერისთავს გვერდით ამოუდგა, რათა სამუდამოთ დაეგდოთ ის დაუნდობელი ღალატის და განდგომის გზა, რასაც დავითის წინაპრები ტრადიციულად ეწეოდნენ ... თუ ქეთევანმა თავისი ქმრის, იესეს „მობრუნება" ვერ შესძლო, შვილი მაინც დაუბრუნა მეფეს ...

***

გავყვეთ ლარგვისის ციხე-მონასტრის აღწერას და ქსნის საერისთავოს სხვა შესანიშნავ ადგილების შესახებ ცნობებს.

მარი ბროსე თავის არქეოლოგიურ მოგზაურობაში" ლარგვისის შესახებ გვაუწყებს: „აქვეა ძველი ციხე, ქსნის ერისთავთა სასახლე, ტაძარი, სადგომი ბერებისა და სხვ." დიდ მკვლევარს აქ, სხვათა შორის, უპოვნია ნაირი ხელთნაწერები პერგამენტზე, რომელთაგან ერთი 1400 წ. ყოფილა დათარიღებული.

ამ ხელთნაწერებში ნახსენები არიან წინაპრები ქსნის ერისთავების. მაგ. ვირშელი ქვენიფნეველი, გიორგი ბაგრატისძის დროიდან (თემურლენგის შემოსევისა). შემდეგ — ერისთავთ ერისთავი შალვა ქვენიფნეველი, დედედოფალი როდამ და მისი ძენი — იესე და და ზაალ ერისთავები, შემდეგ ერისთავთ-ერისთავი შანშე, ცნობილი თავისი სისხლიანი ბრძოლებით და უტეხი წინააღმდეგობით მეფე თეიმურაზის და სპარსული ჯარების მიმართ — ვიდრე 1741 წლამდე, როცა შახნადირმა მას თვალები დასთხარა.

ზვიადი ერისთავი შანშე 3, იყო ძმა იესე ყულარაღაზისა, რომლის მეუღლეა ჩვენი სათნო დედოფალი ქეთევან და დედა დავით მესამისა. ლარგვისის შესანიშნავ ხელთნაწერებიდან გვინდა ერთი ისტორიული ეპოქის დამახასიათებელი მოვიყვანოთ; ეს არის ამ მონასტრის პარაკლიტონის შემდეგი წარწერა: "მეფობისა შინა მეფეთ მეფისა გიორგი, ბაგრატისძისასა და ერისთაობასა შინა ერისთავთა ერის-თვისა ქვენიფნეველისა ვირშელისასა, ოდეს იგი დიდითა ომთაგან გამარჯვებული ალნჯით მოვიდეს მოქცევასა იდ. ქკს. პ3, მაისს ზ,მივიდა თემურ ბეგ, სულტანი სამარყანელი, და ... სიმრავლისა, მათისა არ იყო რიცხვი და მოკლეს ყოველი ქვეყანაი და წარატყვენეს და დააქციეს საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი და აღიხუნეს დოვლნი ციხენი და მოასხეს ტყვე ჰყვეს და მოასხეს ყოველი ქვეყანაი დასავლეთამდის. მას ჟამსა შინა დამიცვა ღმერთმან ხელთაგან მათთა და შემდგომ მცირედისა ჟამისაი დავრჩი ობოლი ხელითა ძმათაგან და ვსტიროდი თავსა ჩემსა, მე გრიგოლ შინდასძესა ავგაროზის შვილი, დაწვისაგან მოოხრებული აღვაშანე ხუთი სახლი, ამის შემდგომად, იხილა ღმერთმან სიმრავლე ცოდვათა ჩემთა და მიმიხვნა ექვსნი შვილნი დედით მათითურთ. მაშინ ულირსმან შევიმოსე სახე მონაზონებისაი და საფლავსა ჩემსა ზედა აღვაშენე კარის ბჭე და დავხატე ხელითა ჩემითა. დავკიდე კანდელი ვერცხლისაი და ორი საცეცხლური: შესამოსელი და სიწმიდისა სამსახური ლარისაი. შიგნით ეკლესიაი მოვხატე და შევამკევ ყოველი მოშლილი ხატები, და განვაახლე და შევმატე ხატი მოჭედილი, სავსე ნაწილითა, და დავხსენ წიგნნი პარაკლიტონი, სამოციქულო, გულაი, ავგაროზი და ავაგე მარანი და ჩავდგი ოცი ჭური, ავაგე ზედა სამყოფი სახლი, ბეღელი, საწოლი, დაიფანი, სამრეკვლო და ბოსელი და დავბურე ყოველი სიპითა და სხვ."

ეს თავისთავად მრავალის მეტყველი დოკუმენტი ერთხელ კიდევ გვაჩვენებს რაოდენის თავდადებით, მხნეობით და შრომით კვლავ უშენებიათ ჩვენთ წინაპართ, მტრებისგან ათასჯერ აოხრებული და გაუკაცრიელებული ქვეყანა. ჭეშმარიტად, ამან მოიტანა საქართველო ...

***

ლარგვისის მონასტრის განსაკუთრებულ მდგომარეობას (კონცხზე, სადაც ერთდებიან ცხრაძმის ხევი და ჭურტისწყალი) აღნიშნავს თავის „ქსნის ხევში მოგზაურობაში" ექ. თაყაიშვილი და დასკვნის, რომ ეს ადგილი გაუმაგრებია თვით ბუნებას და მის გასაოცარ ხელოვნურ ნაგებობას. აქ დაცულია ნაშთი ციხისა, რომელიც ეკუთვნოდა ყველაზე ძლიერ ფრთას ქსნის ერისთავთა, ლარგველებად რომ იწოდებოდნენ. მეორე ფრთა, რომელიც წარმოსდგებოდა სოფელ ქვემო-იფნევადან, ეწოდებოდა ქვენიფნაველებად. შემდეგ ცნობილი იყო ვირშას ციხე მონასტრითურთ, რომლის მდებარეობა დღემდე გამორკვეული არ ყოფილა. პლ. იოსელიანის აზრით ვირშა იგივე იკორთაა თავისი ცნობილი მონასტრით. მაგრამ ექ. თაყაიშილს ეს საეჭვოდ მიაჩნია, რადგან „ქსნის ერისთავთა ქრონიკებში" ვირშა ცალკე იხსენიება და იკორთის მონასტერი ცალკე.

ამის შემდეგ ჩვენი არქეოლოგი იმეორებს თქმულებას ქსნის ერისთავთა წარმოშობის შესახებ, რაც ჩვენ ზევით მოვიყვანეთ (გულდენშტეტის, კლაპროტის და ბროსეს აზრი). ე. თაყაიშვილი განმარტავს, რომ ლარგვისის მონასტერიც იმპერატორ იუსტინიანეს მიუჩენია ქსნის პირველ ერისთავ როსტომისათვის, მის მიერ დაწესებული რეზიდენციათ და ნეკროპოლად. „ლარგვისი იყო ძველ დროში ცენტრი ქსნის ერისთავის პოლიტიკურ და გონებრივ ცხოვრებისა. მის შესახებ ცნობები მოიპოება თვით „ქსნის ერისთავთა ქრონიკებში", რომელიც შედგენილია 15-ტე ს. თვით ლარგვისმონასტერში და მოყვანილია პერგამენტის ქსინაქსარის ბოლოში ..."

ამ წყაროების გარდა („ქრონიკებისა" და მისი მინაწერების) ლარგვისის მონასტერზე და ქსნის ერისთავებზე ჩვენ ვხვდებით სხვა საყურადღებო აქტებსაც, რომლებიც მოყვანილია „საქართველოს სიძველენ"-ში და „ძველ საქართველოში". ამ აქტებიდან გვინდა აღვნიშნოდ მხოლოდ ორი, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეწერება. პირველია სიგელი ქვენიფნოველის წითლოსანისათვის ბოძებული 1348 წ. მეფე ბაგრატიდ ანდრონიკესაგან. ე. თაყაიშვილის აზრით ეს უნდა იყოს დავით მეშვიდე, რომელიც მის მამას ლაშა გიორგის უკურთხებია და მეორე სახელად ანდრონიკე უწოდებია.

დავით მეშვიდე (ანდრონიკე) ატარებს ტიტულს ... „ნებითა ღვთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შარვანშე და შანშე და ყოვლის აღმოსავლეთის და დასავლეთისა ხელმწიფედ მპყრობელისას" და მის წინაშე გამოცხადებულა ქვენიფნაველი, ლარგელისა შვილი წითლოსან და უთხოვია ქართლის სოფლები „კარბაი და გარეცარ ბაკურის უბანი" მეფეს მისთვის დაუმტკიცებია, რის სიგელიც მას მეფე ანდრონიკემ უბოძა. მეორე გუჯარი ქსნის ერისთავს შალვას 1470 წ. ლარგვისის მონასტრისათვის უბოძებია. ამ გუჯრის თავში დახატულია ფერებით თვით შალვა ერისთავი ამ ვრცელ გუჯარში მოთხრობილია ლარგვისის მონასტრის განახლების ამბავი. აქვე დართული აქვს ფრიად საყურადღებო ძეგლი იურიდიულ ხასიათისა, სადაც ჩამოთვლილია მცირე კოდექსის სახით სხვა და სხვა სასჯელი სხვა და სხვა სახის დანაშაულობებისათვის, თუ ვინმე მათ მონასტრის სამფლობელოს ტერიტორიაზე ჩაიდენდა.

(გაგრძელება იქნება)

† აკაკი პაპავა

## საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები

(გადაეცა რადიო „თავისუფლებას" მიერ)

„საქართველოში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დამყარებისთანავე საზრუნავი გახდა მისი სახელმწიფო სიმბოლოების: ღერბისა და დროშის შექმნა. როგორი იყო თავდაპირველი სახე საბჭოთა საქართველოს დროშისა, რომელმაც შეცვალა უწინდელი ბურჟუაზიული წესწყობილების სამფეროვანი დროშა"-ო, — ვკითხულობთ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" 1971 წლის 27 თებერვლის ნომერში, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს წითელი არმიის მიერ დაპყრობის 50-წლისთავთან.

სანამ ეროვნულ-სახელმწიფო დროშისა და ღერბის დადგენაზე გადავიდოდეთ, რაც მიღებული იყო დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის მიერ, საჭიროდ მიმაჩნია პატარა ექსკურსია გავაკეთო საბჭოთა დროშასა და ღერბზე, რომელმაც მრავალჯერ განიცადა ცვლილება საქართველოს დაპყრობის 50-თი წლის მანძილზე. მართლაც ამის შესახებ 1921 წლის მაისის 20-ს გამოცემული იყო ე. წ. საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის, ანუ, როგორც შემოკლებულად უწოდებდნენ „რევკომის" დეკრეტი, საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ღერბისა და დროშის შესახებ.

1921 წლის მაისში დადგინდა, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროშა იქნეს ალისფერისა, მარცხენა კუთხეში, ზევით ალამის მთელი სიგანის ერთმეოთხედ კვადრატულ სივრცეზე წარწერით: „სსსრ", ხოლო 1922 წელს, როცა მიღებულ იქნა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია", ეს პირველი მოდელი დროშისა დამტკიცდა. 1926 წელს გამოცემულ კონსტიტუციის 113 მუხლში კი, დაზუსტებულია, რომ წარწერა ოქროს ასოებითაა. იგივე მოდელი დარჩა ძალაში 1937 წლის სრულიად საქართველოს საბჭოების საგანგებო 8-ვე ყრილობის მიერ მიღებულ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის 160-ცე მუხლშიც. მაგრამ 1951 წელს რატომღაც შემოღებულ იქნა კვლავ ახალი მოდელი სახელმწიფო დროშისა, შემდეგი აღწერილობით: წითელი ქსოვილი სიგანისა და სიგრძის შეფარდებით 1:2; ზედა კუთხეში ტართან ცისფერი კვადრატი, რომლის მხარე დროშის სიგანის ნახევარს უდრის. კვადრატის შუაგულში წრე; წრის რადიუსი კვადრატის მხარის ერთი მესამედი; წრეში ნამგალი და ურო, მათ თავზე — ხუთქიმიანი ვარსკვლავი. წრიდან კვადრატის მხარეს 24 სხივი ეფინება; ნამგალი, ურო, ვარსკვლავი და სხივები წითელი ფერისაა, კვადრატის მარჯვენა მხარის შუაგულიდან დროშის მთელ სიგრძეზე რატომღაც გადის ცისფერი ზოლი და სხვ.

რაც შეეხება საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ღერბს, იგიც თავდაპირველად შემოღებულია 1921 წლის 20 მაისის დეკრეტით და მასში ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტის" განმარტებით, ეხლანდელ საბჭოურ დროშას შეუცვლია თურმე, როგორც გაზეთი გვეუბნება, „უწინდელი ბურჟუაზიულ წესწყობილების სამფეროვანი დროშა".

სიტყვა „ბურჟუაზიული" აქ არაფერ შუაშია, როგორც არაფერ შუაშია „პროლეტარული". ერთი, რომ საქართველოში 1918-1921 წელს, მისი დამოუკიდებლობის დროს, არავითარი ბურჟუაზიული წესწყობილება არ იყო დამყარებული. მთავრობა თავისი შემადგენლობით სოციალისტური იყო, დემოკრატიული წესით არჩეული პარლამენტით და მთავრობა პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე. დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო დროშა იყო არა ბურჟუაზიული, ან სოციალისტური, არამედ ეროვნული. ამ დროშის წარმოშობის ძირები უნდა ვეძიოთ ქართველი ერის სამათასწლოვან ისტორიულ წარსულში. ჩვენი სახელმწიფო დროშა დიახ, სამფეროვანი იყო. შავი თეთრი და შინდის ფერი (წითელი). ეს ფერებია ეროვნული სიმბოლოები, ასახული საქართველოს წარსული ისტორიულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრებით. ეს დროშა არ შეუქნია არც ერთ პარტიას, არც ერთ წოდებას.

1918 წლის მაისის 26-ს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დროს, სწორედ ეს სიმბოლოები იქნა მიღებული.

დამოუკიდებლობა გამოცხადებულია. დრო გადის და სახელმწიფოს თავისი სახელმწიფოებრივი ემბლემა არ გააჩნია. ხომ უნდა წარსდგეს სახელმწიფო უცხოელთა წინაშე საკუთარი სახითა და ფორმით? ეს სახე და ეს ფორმა სახელმწიფო ემბლემებშია, მის ეროვნულ ფერებშია მოცემული. ასე ადვილად და ერთი ხელის მოსმით არ მომხდარა მისი დადგენა. აქაც დიდი მუშაობა იყო საჭირო.

1918 წლის ივნისის 27-ს მთავრობამ დაადგინა: მიენდოს მეცნიერებსა და ისტორიკოსებს შეიმუშაონ სახელმწიფო დროშა და ღერბი. 1918 წლის 10 სექტემბერს, ეროვნულ საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა რესპუბლიკის დროშის საკითხი. სიტყვით გამოვიდა ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე კოტე მაყაშვილი. აი მისი დებულება: „საქართველოს უძველეს დროიდანვე ჰქონია დროშები, რომელთა აღწერაც არსებობს: არაბულ, ლათინურ, ბერძნულ და სხვა ენებზე. მეცამეტე საუკუნის დროშა აღწერილი აქვს ერთ პოლონელ მოგზაურს — კოტოვიჩს. საქართველოს დროშა უმთავრესად ორი ხასიათის ყოფილა: სეფე დროშა და მთავარსარდლის დროშა. როგორც შოთა რუსთაველსაც აქვს მოხსენებული, ყოფილა კიდევ შავი დროშაც. ამ რიგად, ჩვენი ეროვნული ემბლემის გამოსახატავად უმთავრესად სამი ფერი ყოფილა: წითელი (შინდის ფერი), თეთრი და შავი".

ამ ფერებს აღნიშნავს აგრეთვე ჩვენი სახელოვანი პოეტი და მოაზროვნე გრიგოლ რობაქიძე. თავის მეცნიერულ ნარკვევში, სახალხო პოეტი გიორგი ლეონიძეც ამ ფერების დადასტურებას იძლევა. ამასვე აღნიშნავს იგი ერთ-ერთ თავის ლექსში.

რაც შეეხება საქართველოს დამოუკიდებლობის ღერბს, მიღებულ იქნა ეროვნული საბჭოს მიერ „თეთრი გიორგი". ამ ღერბის დადგენამ დიდი კამათი გამოიწვია საქართველოს პარლამენტში, 1918 წლის სექტემბრის 17-ს, მთავარი მომხსენებელი ამ საკითხის გარშემო იყო კოტე მაყაშვილი.

აი რას ამბობს ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტი ნოე ჟორდანია, რომელიც მაშინ თავმჯდომარეობდა სრულიად საქართველოს ეროვნულ საბჭოს: „სოც. დემ. ფრაქციაში პირველი დიდი დავა აგვიტყდა რესპუბლიკის ემბლემის შესახებ. ირაკლი წერეთელმა წამოაყენა მიჯაჭვული პრომეთეს ნაცინალურ ემბლემად გამოცხადება. მე ეს არ მომეწონა, შევედავე. მთავარი ჩემი არგუმენტი ის იყო, რომ ტყვე, შებოჭილი პრომეთე სრულიად არ შეესაბამება აშობილ, განთავისუფლებულ ქართველ ერს. მე წამოვაყენე ამ აზრის გამომხატველი თეთრი გიორგი, ცხენზე კოხტად შემჯდარი და ცის სივრცეში თავისუფლად მარად მფრინავი".

ასე, რომ წითელ არშიაზე, ცისფერ ზოლს და კვადრატზე 24 სხივის გამოხატვა, არ არის ეროვნულ სახელმწიფოებრივი სიმბოლო და იგი არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო ეროვნულ დროშად.

სხვათა შორის, გარდა საბჭოთა კავშირისა, არსად არ ხდება წარა-მარა გადაკეთება ეროვნული სიმბოლოებისა პარტიულ იდეოლოგიის ყაიდაზე.

კომუნისტური წესწყობილება არსებობს იუგოსლავიაში, პოლონეთში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში და კიდევ ზოგიერთ ე. წ. სახალხო სოციალისტურ ქვეყნებში, მაგრამ იქ არავის მოსვლია აზრად ეროვნული სიმბოლოების შეცვლა პარტიულ ყაიდაზე.

საბჭოთა პროპაგანდა ცდილობს სავსებით აღმოფხვრას ქართული ახალი თაობის შეგნებაში ეროვნული ფერების — ემბლემების არსებობა და ცდილობს ქართველი ერის ისტორიის საწყისები დაადგინოს კომუნისტური პარტიის დაარსების დღიდან.

საქართველოს — ქართველი ერის ღერბი არის ის **ღერბი, რომელიც ჩვენ გვქონდა დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, რომელზედაც გამოსახული იყო თეთრი გიორგი შვიდი მნათობით. ჩვენი ეროვნული დროშა კი არის სამფეროვანი: შინდის ფერი, შავი და თეთრი. ხოლო ჩვენი ეროვნული ჰიმნი არის „დიდება".**

**G. A. Press**

**ღებულობს ყოველგვარ შეკვეთებს, როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე.**

**საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:**

**Mr. G. Djakeli**

***535 E. 78 Street,***

*New York, N. Y. 10021*

**ამავე მისამართიდ უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.**

*EDITOR IN CHIEF: M. Sindikeli.*

*EDITORIAL BOARD: G. Lolua, G. Zaldastani, Dr. G. Gabliani.*

149 Avenue A

New York, N. Y. 10009

**Tel.: 473 - 0240**